

ჩემპიონატი პათემატიკაში

ნახევარფინალი

3 კლასი

სახელი, გვარი _____ სკოლა _____

ამოცანები რომლებიც 3 ქულით ფასდება

1) რა ციფრი უნდა ეწეროს გაფერადებულ უჯრაში?

1	2							
	12							
		23						
			34					
				45				
					56			
						67		
							78	
								89
								100

1) 68

2) 77

3) 79

2) რა ნიშანი უნდა ეწეროს უჯრაში, რომ მივიღოთ ჭეშმარიტი (სწორი) გამოსახულება?

$$170 + 198 \quad \square \quad 201 + 160$$

1) >

2) <

3) =

3) მოცემულია რიცხვები: 8984; 9975; 7771. დაალაგეთ ეს რიცხვები ზრდადობით.

1) 8984; 7771; 9975.

2) 7771; 9975; 8984.

3) 7771; 8984; 9975.

4) 9975; 8984; 7771;



4) რამდენია 8 ათეული გამრავლებული 3-ზე?

1) 240 ათეული

2) 24 ათასეული

3) 24 ათეული

5) მოცემული სურათებიდან რომელი შეესაბამება 1631-ს?



6) თუ $\blacktriangle \blacktriangle \blacktriangle = 4$, მაშინ რასი უდრის $\blacktriangle \blacktriangle \blacktriangle \blacktriangle \blacktriangle \blacktriangle \blacktriangle \blacktriangle \blacktriangle \blacktriangle$?

1) 17-ს

2) 16-ს

3) 12-ს

4) 36-ს

7) ორი რიცხვის სხვაობაა 274. თუ საკლებს შევამცირებთ 4-ით, მაშინ რისი ტოლი იქნება სხვაობა?

1) 270-ის

2) 274-ის

3) 278-ის


8) რამდენი წახნაგი და რამდენი წიბო აქვს მოცემულ ფიგურას?

1) 5 წახნაგი და 8 წიბო

2) 8 წახნაგი და 5 წიბო

3) 4 წახნაგი და 1 წიბო

4) 5 წახნაგი და 5 წიბო



9) დააკვირდი ქვემოთ მოცემულ პიქტოგრამას. რამდენი მაისური აქვს ანას, თუ  = 25 მაისურს?

1) 150 მაისური

2) 125 მაისური

3) 25 მაისური

4) 6 მაისური

კახა	
გივი	
ია	
ანა	

10) ლუკას ჰქონდა 3 ლარი და 24 თეთრი. მას სანდრომ კიდევ 5 ლარი და 81 თეთრი აჩუქა. რა თანხა აქვს ახლა ლუკას?

1) 9 ლარი და 5 თეთრი

2) 8 ლარი და 5 თეთრი

3) 7 ლარი და 5 თეთრი

11) მოცემულია ამოცანა: „გაგას აქვს 19 კალამი, გივის – 20 ფანქარი, ხოლო გელას კი – 22 ფლომასტერი. რამდენი ნივთით მეტი აქვს გივის, ვიდრე გაგას?“ ამოცანის ამოსახსნელად რომელი მონაცემია ზედმეტი?

1) გივის აქვს 20 ფანქარი.

2) გელას აქვს 22 ფლომასტერი.

3) გაგას აქვს 19 კალამი.

12) სამმა მეგობარმა იმოგზაურა. მათ მოგზაურობის დროს გაიარეს სხვადასხვა მანძილი. ცხრილში მოცემულია, თუ ვინ რამდენი კილომეტრი გაიარა. რამდენი კილომეტრით მეტი გაიარა ნუცამ ნანაზე?

გავლილი გზა	
სახელი	კილომეტრი
გელა	167
ნანა	259
ნუცა	304

1) 137 კილომეტრით

2) 55 კილომეტრით

3) 45 კილომეტრით

13) გვანცას აქვს 3 ცარცი და მათ შესახებ იცის 2 ფაქტი:

I. ნაცრისფერი ცარცი ყავისფერზე მოკლეა.

II. ნაცრისფერი ცარცი წითელზე გრძელია.

რომელია ყველაზე გრძელი ცარცი?

1) წითელი

2) ნაცრისფერი

3) ყავისფერი

14) რას მივიღებთ, თუ გავანახევრებთ 19-ის წინა რიცხვს?

1) ათს

2) რვას

3) თერთმეტს

4) ცხრას

15) ოთხი მეგობრიდან ორი ერთი და იგივე წლოვანებისაა. ნინო დიდია ნოდარზე, მაგრამ პატარაა მარიამზეც და დათოზეც. ჩამოთვლილი ბავშვებიდან რომლები არიან ტოლები?

1) ნოდარი და მარიამი

2) დათო და ნოდარი

3) მარიამი და დათო

4) ამის გაგება შეუძლებელია

ამოცანები რომლებიც 4 ქულით ფასდება

16) ორი ერთმანეთის მომდევნო რიცხვის ჯამი 3-ით მეტია 28-ზე. რომელია ამ ორი რიცხვიდან უდიდესი?

1) 31

2) 28

3) 16

4) 15




17) კორპუსი არის ოთხსართულიანი. კორპუსის პირველ სართულზე არის 28 ბინა. მეორე სართულზე არის 10 ბინით მეტი, ვიდრე პირველ სართულზე. მესამე სართულზე არის 8 ბინით მეტი, ვიდრე მეორე სართულზე. მეოთხე სართულზე კი 43 ბინაა. სულ რამდენი ბინაა კორპუსში?

1) 89 ბინა

2) 145 ბინა

3) 155 ბინა

4) 201 ბინა

18) ჩამოთვლილი პასუხებიდან ამოირჩიეთ 323-ის შესაბამისი ნიმუში, თუ  შეესაბამება 100-ს  შეესაბამება 10-ს, ხოლო  1-ს.

1)  2)  3) 

19) გვიმ ჩაიფიქრა რიცხვი. ჯერ დაუმატა ამ რიცხვს 2, ხოლო შემდეგ მიღებული რიცხვი გაამრავლა 5-ზე. ამ ოპერაციების შემდეგ გვიმ მიიღო 40. რა რიცხვი ჩაიფიქრა გვიმ?

1) 6

2) 7

3) 8

20) ექიმმა გიორგის დაუნიშნა 4 აბი წამალი, რომელიც მან ყოველ 7 საათში ერთხელ უნდა დალიოს. წამლის მიღების დაწყებიდან, რა დრო დასჭირდება გიორგის 4 აბი წამლის დასალევად?

1) 21 საათი

2) 28 საათი

3) 19 საათი

21) მას შემდეგ, რაც პერანგს 3 ღილი დააკერეს, დასაკერებელი დარჩა 17 ღილი. რამდენი ღილი დარჩებოდა დასაკერებელი, თავიდან, 3 ღილის მაგივრად, 7 ღილი რომ დაეკერებინათ?

1) 7 ღილი

2) 10 ღილი

3) 13 ღილი

4) 21 ღილი

22) ერთი ხაჭაპურის გამოცხობას 2 წუთი სჭირდება. დედამ უკვე გამოაცხო 18 ხაჭაპური. კიდევ რამდენი წუთი უნდა აცხოს დედამ ხაჭაპურები, რომ მას გამომცხვარი ჰქონდეს 30 ხაჭაპური?

1) 24 წუთი

2) 15 წუთი

3) 12 წუთი

4) 6 წუთი

23) გელამ დაფაზე დაწერა ორნიშნა რიცხვი. მან ამ რიცხვის დასაწერად რვიანი და ხუთიანი გამოიყენა. ბესომ გელას მიერ დაწერილ რიცხვს მიუმატა ორნიშნა რიცხვი, რომლის დასაწერადაც გამოიყენა მხოლოდ სამიანები. რა რიცხვი დაუწერია გელას, თუ ბესომ შეკრების შედეგად ორნიშნა რიცხვი მიიღო?

- 1) 88 2) 85 3) 58 4) 55

24) მიზანში სროლისას სანდრომ 24 ქულა მოაგროვა, ბიძინამ იმის ნახევარი, რაც სანდრომ, ხოლო ალექომ ორჯერ მეტი, ვიდრე ბიძინამ. რამდენი ქულა მოაგროვეს ბიძინამ და ალექომ ერთად?

- 1) 60 ქულა 2) 48 ქულა 3) 36 ქულა 4) 30 ქულა

25) რამდენი გვეკუთვნის ხურდა, თუ მოლარეს მივეცით ორმოცდაათლარიანი, რომლითაც გვინდა შევიძინოთ ოთხი სამლარიანი ნაყინი და ორი ხუთლარიანი შოკოლადი?

- 1) 22 ლარი 2) 28 ლარი 3) 36 ლარი 4) 38 ლარი

ამოცანები რომლებიც 5 ქულით ფასდება

26) სალომემ უნდა დახატოს ან სკუტერი, ან მოტოციკლეტი. მან უნდა გამოიყენოს ან ყვითელი, ან ნაცრისფერი, ან ვარდისფერი საღებავი. რამდენი გამსხვავებული ნახატი შეიძლება დახატოს სალომემ, თუ მან არ უნდა დახატოს ყვითელი ფერის სკუტერი?

- 1) 7 2) 6 3) 5 4) 4

27) ოთხი დღის განმავლობაში 40 კილოგრამი ბალი მოკრიფეს. პირველ დღეს მოკრიფეს იმდენი, რამდენიც დანარჩენ – სამ დღეში ერთად. მეორე დღეს მოკრიფეს იმდენი, რამდენიც – მესამე და მეოთხე დღეს ერთად. მესამე დღეს მოკრიფეს იმდენი, რამდენიც – მეოთხე დღეს. რამდენი კილოგრამი ბალი მოუკრეფიათ მეოთხე დღეს?

- 1) 20 კილოგრამი 2) 15 კილოგრამი 3) 10 კილოგრამი 4) 5 კილოგრამი

28) დააკვირდი ქვემოთ მოცემულ ცხრილს და ჩაწერე სიტყვის „მაგიდა“ გამომსახველი რიცხვი, რომელიც მიიღება სიტყვის ყველა ასოს რიცხვად გადაკეთებით.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	გ	თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ო	პ	ჟ	რ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
ს	თ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ	
18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	

- 1) 1241913 2) 1214931 3) 1213941